

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე  
საქართველოს საბაჟო კოდექსში  
დამატების შეტანის შესახებ

პროექტის შემუშავება განაპირობა საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების არარეგლამენტირებული წესით შემოსვლისა და გადაადგილების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ეკონომიკური ზიანის აცილების აუცილებლობამ.

წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად, საბაჟო ორგანოები ვალდებული არიან არ დაუშვან საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობათა და ტვირთამწეობის მიხედვით დადგენილი მოსაკრებლის გადახდის გარეშე საბაჟო საზღვარის ზოლის გადაკვეთა.